1 მაისი

ოთხშაბათი: 2024

პასექის ჟამის V კვირა [I], თ

წმ. იოსებ მშრომელი

საქმ 15,1-6; ფს 121; იო 15,1-8

უდის „ქვედა ეკლესიის“ დღეობა

ურემოდ არაფერის კეთება არ შეგიძლიათ იო 15,5

იესო, ვაღიარებ, რომ შენთან კავშირის
გარეშე, შენი მორჩილების გარეშე, შენი
მადლის გარეშე, ვერანაირ სიკეთეს
ვერ გავაკეთებ, ვერანაირ სარგებელს
ვერ მოვუტან ჩემს და-ძმებს, მათ, ვისაც
ყოველდღიურად აყენებ ჩემს გვერდით.
გმადლობ იესო, რამეთუ მუდამ მზად ხარ
ჩემი თანადგომისთვის.

2 მაისი

ხუთშაბათი
2024

პასექის ჟამის V კვირა [I]

წმ. ათანასე, ალექსანდრიის ეპისკოპოსი, ეკლესიის მოძღვარი, +373, (მ) თ

საქმ 15,7-21; ფს 95; იო 15,9-11

როგორც მამამ შემიყვარა მე,
მეც ასევე შეგიყვარეთ თქვენ იო 15,9

მართლაც მშვენიერია ეს გამოცხადება! გულში დავიმარხავ; გავიმეორებ და არ დავუშვებ, რომ დავკარგო ის, არც ჩემი საზრუნავის და არც სხვისი განსჯის მიზეზით... სულიწმიდა ღრმად და ძლიერად დამარხავს მას ჩემში: მისი შუქი მიჩვენებს გზას, რომელზედაც უნდა ვიაროთ და მოგბაძოთ შენ.

3 პარასკევი 2024

მაისი

წმიდანნი ფილიპე და იაკობ
მოციქულნი, დ, [ს], წ

1კორ 15,1-8; ფს 18; იო 14,6-14

წითელი პარასკევი მართლმადიდებელ ეკლესიაში

მე მამაში ვარ და მამა ჩემშია იო 14,11

წმიდა მოციქულებმა, მათ შორის ფილიპემ და იაკობმაც, რომელთაც დღეს საზეიმოდ მოვიხსენიებთ, ნელ-ნელა შეიცნეს უფალი. რთული იყო, მათთვის და ჩვენთვისაც, იმის გააზრება, თუ როგორ შეიძლება იყოს იესო ერთდროულად სრულიად ჭეშმარიტი ადამიანი და ერთარსი ზეციერ მამასთან. იესო არსებობს მამაში და ძე იესოში ვხედავთ მამას. თუ ამას ვირწმუნებთ, გამოცდილებით შევიცნობთ მას და სიხარულით ვცემთ თაყვანს.

საქმ 16,1-10; ფს 99; იო 15,18-21

დიდი შაბათი მართლმადიდებელ ეკლესიაში

არ ხართ სოფლისანი იო 15,19

იესო განამზადებს თავის მოყვარულებს, რათა გაიზიარონ მისი ცხოვრება, ანუ, დაუპირისპირდნენ შუღლს და დევნას. შენი შეწევნით, იესო, მინდა ერთგული დავრჩე მაშინაც, როცა დამცინებენ, შემიძულებენ, მავნებენ. მადლობა შენი მაგალითისთვის და შენი წყალობისთვის, რომელიც მაძლიერებს.

5 კვირა 2024

მაისი

პასექის VI კვირადღე, «ბ», [II], თ

საქმ 10,25-26.34-35.44-48; ფს 97; 1იო 4,7-10; იო 15,9-17

აღდგომა მართლმადიდებელ ეკლესიაში

თქვენ არ აირჩიეთ ჩემ, არამედ მე აირჩიეთ თქვენ იო 15,16

იესომ აგირჩია შენ, ამირჩია მე... ათასობით ჩვენზე ყოჩაღებს, ჩვენზე ლამაზებს, ჩვენზე კარგებს შორის. იმისათვის აგვირჩია, რომ მთელი თავისი სიყვარული მოგვცეს და შევ-ძლოთ სხვებზე მისი გადაცემა: ის უკვე საკმა-ოა ჩვენთვის, აღარ გვსურს სხვა რამ ვეძიოთ. მუდამ ვმადლობთ მას და მისი შეწევნით გადავდგამთ ნაბიჯებს მისი სიყვარულისა და თავგანწირვის გზაზე.

საქმ 16,11-15; ფს 149; იო 15,26 – 16,4

მიცვალებულთა დღე მართლმადიდებლურ ეკლესიაში

მოგივლენთ მამისგან ჭეშმარიტების სულს იო 15,26

იესო, როდესაც შენი ეკლესიის მეშვეობით მომივლინე სულიწმიდა, მაშინ შევიცან ჭეშ-მარიტება: შენი სიცოცხლე და შენი სიყვა-რული! გულმოდგინეთ ვეძებდი მას ფილო-სოფიურ წიგნებში, განათლების პერიოდში, მაგრამ ამაოდ... შენმა სულმა მაქცია შენს მოწმედ. კვლავ მოავლინე შენი სულიწმიდა, მოავლინე იგი ყოველი კაცის გულში!

7 მაისი

სამშაბათი
2024

პასექის ჟამის VI კვირა [II], თ

საქმ 16,22-34; ფს 137; იო 16,5-11

ირწმე უფალი იესო და ცხონდებით შენცა და შენი სახლიც საქმ 16,31

„რა უნდა გავაკეთო, რომ გადავრჩე?“ ჰკითხა შეშინებულმა ციხის მცველმა თავის ორ ტუსაღ მოციქულს. ხოლო მათ პასუხად მიუგეს სიტყვები, რაც ზემოთ წაიკითხეთ. მათ განანათლეს ის და მისი ოჯახი, რომლებიც მოინათლენ და დიდ სიხარულს ეზიარნენ. მადლობა, უფალო იესო, რამეთუ შენი წყალობით დამარწმუნე, რომ შენ ხარ ღმერთი, ჩემი მაცხოვარი.

8 ოთხშაბათი: 2024

მაისი

პასექის ჟამის VI კვირა [II], თ

საქმ 17,15.22 – 18,1; ფს 148; იო 16,12–15

კამილიელი დედა მარია ნიკოლოზის გახსენება (+2005)

ყველაფერი რაც მამას აქვს, ჩემია იო 16,15

იესო დღეს გვეუბნება, რომ სულიწმიდა მამისაგან მიიღებს სიტყვებს და სიყვარულს, რომ შემდგომ ჩვენ გვიწყალობოს. იესოსაც ყოველივე წყალობად ებოძა მამისაგან. რარიგ გვხიბლავს ეს დიდებული ერთიანობა და თავმდაბლობა მამას, იესოსა და სულიწმიდას შორის!

9 მაისი

ხუთშაბათი
2024

ზეცად ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, «ბ», დდ, [ს], თ

ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს დამდეგ კვირადღეს.

საქ 1,1-11; ფს 46; ეფეს 4,1-13; მარ 16,15-20

ბუზმარეთის კათოლიკური ეკლესიის დღეობა.
ნაციზმზე გამარჯვების დღე

ვინცა მოინათლება, გადარჩება მარ 16,16

ნათლობა ნიშნავს შთაფვლას. იესო გზავნის თავისიანებს, რომ ხალხი შთაფლან მამა-ში (სიყვარულში, რომელიც გასცემს), ძეში (სიყვარულში, რომელიც მდაბლად ემორჩილება) სულიწმიდაში (სიყვარულში, რომელიც აერთიანებს). ვინც ამ გზით შთაიფლება, ამ ღვთიური პირებით გარემოცული იცხოვრებს, მათი სიყვარულით აღივსება და გადარჩება; ჭეშმარიტი, მარადიული ცხოვრებით დატკბე-ბა, რომელიც მათი სიყვარულის ზიარებაა.

10 პარასკევი 2024

მაისი

პასექის ჟამის VI კვირა [II], თ

საქმ 18,9-18; ფს 46; იო 16,20-23

ნუ შეეშინდება, ეანაკრძე ლაპარაკი საქმ 18,9

ეს სიტყვები ეუწყება სასტიკად დევნილ პავლეს: ღამით ეუწყება, ხილვაში. მადლობა, იესო: შენც შემოდიხარ ჩვენს "ღამეებში". შენი სიტყვა, სულიწმიდის მიერ ჩურჩულით ნათქვამი, უკვე გვანუგეშებს, გონებას გვინათებს, ახალ ძალას გვმატებს, რომ შენი მოწაფეების საკადრისი ცხოვრებით ვიცხოვროთ. სიბნელეში შენ მუდამ ჩვენთან ხარ, იესო! ალელუია!

11 მაისი

შაბათი 2024

პასექის ჟამის VI კვირა [II], თ

საქმ 18,23-28; ფს 46; იო 16,23-28

სულთმოფენობის ნოვენის დასაწყისი
მ. იეჟი შიმეროვსკის გახსენება (+2016)

თქვით მამას ჟამვარსართ იო 16,27

დგება ჟამი, როდესაც იესო ფიზიკურად აღარ იქნება მოწაფეებთან. იგი არწმუნებს მათ: სიყვარულმა და რწმენამ, რითაც ის მიიღეს, დაიპყრო მამის გული. ისინი არასოდეს იქნებიან მარტო! სულიწმიდა იქნება დღენიადაგ მათ ირგვლივ, წინ წარუძღვება და ანუგეშებს მათ. მოდი, სულო წმიდაო!

12 მაისი

კვირა 2024

პასექის VII კვირადღე, «ბ» , [III], თ

(ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს ამაღლება)

[წმმ. ნერეოს და აქილევსი, წამებულნი +304-305 რომში.
წმ. პანკრაციუსი, წამებული, +304-305 რომში.]

საქ 1,15-17.20ა.გ-26; ფს 102; 1იო 4,11-16; იო 17,11ბ-19

წმ. ანდრია მოციქულის დღესასწაული
საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

არ ქმენ ბრალი, რომ სოფლიდან წაიყვანო ისინი იო 17,15

ღმერთო, სიცოცხლის დაუშრეტელო წყაროვ, რომელმაც მიიღე წუთისოფლის ხსნის ფასად გაღებული შენი ძის ძღვენი, გვაკურთხე ერთობით, რომელიცაა შენი სულის ნიჭი, რათა მუდამ დავრჩეთ შენს სიყვარულში და ვიქცეთ აღდგომის მოწმეებად.

ფატიმის ნ.ქ. მარიამი,1917

საქმ 19,1-8; ფს 67; იო 16,29-33

სულიწმიდა მიიღეთ? საქმ 19,2

რამდენი ქრისტიანისთვის უცხოდ რჩება სულიწმიდა! ვერც კი ვაცნობიერებთ ისე ვიღებთ მას ეკლესიაში, იესოსთან ერთობაში მყოფნი, მისი სიტყვების დაცვით, წმიდა ზიარებებში მონაწილეობით. ასე სახლდება ჩვენში სულიწმიდა და გაცხადდება ნაყოფნი მისი: სიყვარული, სიხარული, სიმშვიდე, თავმდაბლობა, სიწმინდე, ერთგულება, ზომიერება... ისევ მოდი, სულო წმიდაო, ეკლესიისთვის ბოძებულო იესოს ძღვენო!

14 სამშაბათი 2024

მაისი

წმ. მატათა მოციქული, დ, [ს], წ

(1.V) წმ. თამარ მეფე, +1213;
წმ. მარია დომენიკა მაცარელო, +1881,
სალეულ დედათა კონგრეგაციის დამაარსებელი

საქმ 1,15–17.20–26; ფს 112; იო 15,9–17

სალეულ დედათა დღესასწაული

დარჩით ჩემს სიყვარულში იო 15,9

დღეს წმინდა მატათა მოციქულის ხსენების დღეა. ეკლესია, რომელიც უკვე ყველა ერშია წარმოდგენილი, სადაც უხვად გასცემს თავისი უფლის გულმოწყალებას, პატივს მიაგებს თავის ერთ-ერთ საყრდენს და იესოს ამ უბრალო და საგულისხმო სიტყვას გვიძღვნის: მის სიყვარულში გულმოდგინეობა ხდის მას ესოდენ ძვირფასს მთელს წუთისოფელში!

15 ოთხშაბათი: 2024

მაისი

პასექის ჟამის VII კვირა [III], თ

საქმ 20,28-38; ფს 67; იო 17,11-19

სულიწმიდამ დაგადგინათ ზედამხედველებად საქმ 20,28

წმინდა პავლე ეფესოს ეკლესიის წინამ-
ძღვრებს ემშვიდობება, მათ ვეღარასოდეს
ნახავს. აქვე, სულიწმიდის როლს შეახსენებს
მათ ცხოვრებაში და ეკლესიაში. მასში, რომე-
ლიც იესოს ფარაა, მტაცებელი მგლები გაჩ-
ნდებიან. ამიტომაც, უნდა იყვნენ ფხიზელი და
მზრუნველი მწყემსები – ჩვენი დღევანდელი
მწყემსებიც! – ისინიც ისევე ატარებენ იესოს
ჯვარს, როგორც მან ატარა, ზოგჯერ ცრემლ-
თა ღვრით.

16 ხუთშაბათი 2024

მაისი

პასექის ჟამის VII კვირა [III], თ

(3.V) წმ. მამაი კათალიკოსი, VIIIს; / ღირ. მამანი მიქაელ და არსენ ულუმბოელნი, IXს, მონაზონნი

საქმ 22,30; 23,6-11; ფს 15; იო 17,20-26

რომშიც ქმართებს დამოწმება

საქმ 23,11

ეს უფალი იესოა: ღამით გამოეცხადა იგი პავლეს ტყვეობაში, რათა გაამხნევოს და ახალი მისია გადასცეს. ჩვენც გამოგვიცდია, რომ მისი მიმდევრობის და მოწმეობის რთულ მომენტებში, იცის როგორ მოგვიახლოვდეს, და ჩვენც ვაგრძელებთ ცხოვრებას თავდაჯერებით და სიხარულით.

17 პარასკევი 2024

მაისი

პასექის ჟამის VII კვირა [III], თ

საქმ 25,13-21; ფს 102; იო 21,15-19

სიმონ, ამათზე მეტად გიყვარვარ? იო 21,15

როგორ გავიგო შენი კითხვა იესო? იმაზე მეტად თუ მიყვარხარ, ვიდრე სხვები მიყვარს თუ შენდამი ჩემი სიყვარული მათ სიყვარულს ჯობნის თუ არა? ასე მოვიქცევი: შევეცდები ყოველთვის შენს თვალში ვიყო მოსაწონი, იმის მიუხედავად სხვებს რაოდენ უყვარხარ; მე შევეცდები მთელი ჩემი გულით შეგიყვარო.

18 მაისი

შაბათი 2024

პასექის ჟამის VII კვირა [III], თ

წმ. იოანე I, პაპი და წამებული, +526 რავენაში

დილის წირვა: საქ 28,16-20.30-31; ფს 10; იო 21,20-25

საღამოს წირვა: სულთმოფენობის ღამისთევა: დაბ 11,1-9; ფს 32; ან: გამ 19,3-8ა.16-20ბ; ფს 18; ან: ეზეკ 37,1-14; ფს 106; ან: იოვ 3,1-5ა; ფს 103; რომ 8,22-27; იო 7,37-39

თუ მე მსურს, რომ ის დარჩეს, შენ რა? იო 21,22

პეტრეს მიმართ წარმოთქმული იესოს ეს სიტყვები დაგვეხმარება, რომ ისე მივსდიოთ უფალს, რომ სხვებს არ ვუყურებდეთ. ჩვენი მზერა და ჩვენს გული იესოზე უნდა შევაჩეროთ, რათა ხალისიანად ვემორჩილებოდეთ მას.

19 მაისი

კვირა

2024

სულთმოფენობა, «ბ», დდ, [ს], წ

საქმ 2,1-11; ფს 103; გალ 5,16-25; იო 15,26-27; 16,12-15

ბათუმის ახალი კათოლიკური ეკლესიის დღეობა

სულიწმიდის ნაყოფია სიხარული

გალ 5,22

დღეს სულთმოფენობაა! სერობაზე შეკრებილ მოციქულებზე და მარიამზე ეშვება იესოს მიერ აღთქმული სულიწმიდა. გარდა იმისა, რომ ეძლევათ იესოზე – როგორც ერთადერთ მაცხოვარზე საუბრის გაბედულება, მათი გული სიხარულით ივსება! ამ სიხარულს გრძნობენ ისინი განსაცდელებისა და დევნის ჟამს, ეს სიხარული კვლავაც გაამხნევებს მათ, მაშინ, როდესაც სხვები ამას სიგიჟედ ჩათვლიან! ეს სიხარული სამოთხის საწინდარია.

20 მაისი

ორშაბათი 2024

რიგითი ჟამის VII კვირა [III]

წმ. მარიამ დედა ეკლესიისა, (მ), [ს], თ
(7.V) წმ. ღირსი იოანე ზედაზნელი და მისი 12 მოწაფე, VIს, (მ);
წმ. ბერნარდინე სიენელი, ხუცესი, ფრანცისკელი, +1444 აკვილაში (იტალია)

საქმ 1,12–14 ან, დაბ 3,9–15.20; ფს 86; იო 19,25–34

იდგნენ იესოს ჯვართან დედამისი... იო 19,25

დღის სამ საათამდე მთელი დედამიწა ღამეში გახვეულა. იესო ჯვარზეა გაკრული. ჯვრის ფეხქვეშ დგანან ღვთისმშობელი მარიამი, სხვა დედაკაცები და მისი საყვარელი მოწაფე. მადლობა, მარიამ, რამეთუ იქ დგახარ თავდაჯერებით. მადლობა, რამეთუ შენი სიყვარულით მოგვიპოვე მადლი, რომ ჩვენც დავდგეთ ჯვრის ქვეშ და სიცოცხლეს ვეზიაროთ იესოსაგან. ჩვენ ვიქცევით ეკლესიად, ხოლო შენ, ამიერიდან მისი დედა გახდები.

21 სამშაბათი 2024

მაისი

რიგითი ჟამის VII კვირა [III], მწ

წმ. ქრისტოფორე მაგალანესი, ხუცესი და მისი მეგობრები, მექსიკაში წამებულნი, +1926–1928

იაკ 4,1–10; ფს 54; მარ 9,30–37

ვისაც პირველობა სურს, იყოს უკანასკნელი

მარ 9,35

გმადლობ, იესო, შენიშვნებისთვის, რომლითაც სწორად წარმართავ ჩემს აზროვნებას და ქმედებას. გმადლობ შენი თავმდაბლობის, სიყვარულისა და სიბრძნის მაგალითისთვის. გმადლობ, რამეთუ შენ, წმიდა ღმერთი, ღმერთი ღმერთისაგან, ყოველი კაცის მსახურად იქეც. შენ ღირსი ხარ დიდებისა.

22 მაისი

ოთხშაბათი: 2024

რიგითი ჟამის VII კვირა [III]

(9.V) წმ. შიო მღვიმელი, VIს, (მ), თ
წმ. რიტა კასიადან, ავგუსტინელი მონაზონი, +1457

იაკ 4,13-17; ფს 48; მარ 9,38-40

თუ ინებებს უფალი, ვიცო-ცხლებთ და ამას და ამას ვაქაკეთებთ

იაკ 4,15

მას შემდეგ, რაც წმინდა იაკობმა თავისი მიმდევრებს ურჩია თავი დაეცვათ წუთისოფლის ვნებათა და სიამოვნებიდან, იგი მიმართავს მდიდრებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ თავიანთი სიმდიდრით ფლობენ ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გარანტიებს. მოციქული მათ ურჩევს, უფრო მეტი თავმდაბლობით მიუდგნენ თავიანთ მომავალს, უპირველესად, იზრუნონ ღმერთის სასუფეველზე და მისი ნების შესრულებაზე.

23 ხუთშაბათი 2024

მაისი

იაკ 5,1-6; ფს 48; მარ 9,41-50

იქონიეთ თქვენში მარილი მარ 9,50

მთავარია, რომ ჩვენ, ვისაც გვიყვარს იესო, დავიცვათ მისი „სურნელი“: სასოება და კაცთმოყვარეობა. თვით ჭეშმარიტების არმცოდნენიც მიიღებენ მისგან ნათელს, სითბოს და სიცოცხლეს.

24 პარასკევი 2024

მაისი

იაკ 5,9–12; ფს 102; მარ 10,1–12

მ. ივანე გვარამაძის გახსენება (+1912)

რაცა ღმერთმა შეაერთა, კაცი ნუ განაშორებს მარ 10,9

ნათელია იესოს სიტყვა. მეუღლენი, რომლებიც მისი კურთხევით შეერთდნენ ქორწინებაში, იფხიზლებენ, რომ არ ჩავარდნენ გაყრის ცდუნებაში: ასე ხომ ისინი ბოროტების ხაფანგში ჩავარდებიან და ტანჯვაში ჩააგდებენ საკუთარ თავსა და თავიანთ შვილებს. ლოცვითა და ურთიერთდახმარებით შეძლებენ ამ ცდუნებისგან თავდაღწევას. ჩვენც შევეწევით მათ ჩვენი ლოცვით.

25 მაისი

25 შაბათი 2024

რიგითი ჟამის VII კვირა [III], მწ

წმ. ბედა ღირსი, ხუცესი, ბენედიქტელი, ეკლესიის მძღვარი, +735;
წმ. გრიგოლ VII, პაპი, +1085 სალერნოში (იტალია);
წმ. მარია მაგდალენა დეპაცი, ქალწული და კარმელიტელი +1607 ფლორენციაში

იაკ 5,13-20; ფს 140; მარ 10,13-16

ეამო-უშვით ბავშვები ჩემთან მარ 10,14

როგორ გაცხადდა, იესო, შენი ეს ნება! შენ ისურვე, რომ ბავშვები შენთან ყოფილიყვნენ, რათა შენგან მიიღონ ის, რასაც ვერავისგან იღებენ, თვით საუკეთესო მშობლებიდან და დიდსულოვანი ბებია-ბაბუებიდან. შენ შეგიძლია უბოძო მათ შენი სრულყოფილი და ძლიერი სიყვარულის ძვირფასი ძღვენი. შენს სიახლოვეში ისინი გაიზრდებიან სიბრძნით, მადლითა და სიწმინდით.

26 მაისი

კვირა 2024

ყოვლადწმიდა სამება, «ბ», დდ, [ს], თ

[წმ. ფილიპე ნერი, ხუცესი, ორატორიუმის დამაარსებელი, +1595 რომში.
(13.V) წმ. ღირ. ექვთიმე მთაწმიდელი, +1028წ.]

რჯლ 4,32-34.39-40; ფს 32; რომ 8,14-17; მთ 28,16-20

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

მე თქვენთანა ვარ ყოველთაჲ მთ 28,20

ეს სამების დღესასწაულია. მკვდრეთით აღმდგარი იესო მოციქულებს ეცხადება მითითებულ მთაზე. უმოწმებს მათ თავის ხელმწიფებას ზეცაში და ყველა უწმინდურ სულზე, წუთისოფელზე რომ ბატონობენ. აგზავნის მოციქულებს, რომ ყოველ ხორციელს აუწყონ მისი სიტყვა, რათა ამ სიტყვის ხორცშესხმით მასთან ერთად დარჩნენ მამის გულში და მიიღონ მისი სულიწმიდა. რამხელა წყალობას მოიღებ უფალო: ყოველდღე ჩავიძიროთ შენში, მამაო, ძეო და სულო წმიდაო!

27 ორშაბათი 2024

მაისი

წმ.ავგუსტინე,კენტერბერის ეპისკოპოსი, +604 ან 605

1პეტ 1,3-9; ფს 110; მარ 10, 17-27

არ ეინახავთ და ეწამთ 1პეტ 1,8

დღეს წმიდა პეტრე მამის განდიდებისკენ მოგვიწოდებს, რამეთუ იესო მოგვივლინა და შეგვძინა რწმენა იმისა, რომ იგი ძეა მამისა და თუნდაც ფიზიკურად ვერ ვხედავდეთ, უნდა გვიყვარდეს. ასევე მოგვიწოდებს, რომ ვხარობდეთ მის გამო, თვით განსაცდელის იმ წუთებში, როდესაც მისი რწმენის ერთგულებას ვამოწმებთ.

28 სამშაბათი 2024

მაისი

რიგითი ჟამის VIII კვირა [IV], მწ

(15.V) წმ. ღირსი პიროს ბრეთელი, მონაზონი, VIს

1პეტ 1,10–16; ფს 97; მარ 10,28–31

როგორც ერმგონე შვილები, სდებით წმიდები 1პეტ 1,14

წმიდები: არ უნდა დავფრთხეთ ამ სიტყვის წინაშე. ეს მშვენიერი და უბრალო რამ არის; წმიდანობის მიზნით ჩაგვიფიქრა და შეგვქმნა ღმერთმა. ყოველთვის, როცა ვცდილობთ იესოს დავყვეთ – მოთმინებით, მიტევებით, სიყვარულით... – და წუთისოფლის საქმეებს განვერიდებით, ჩვენ წმიდანი ვართ! მორჩილება სიწმინდის, მშვიდობის, სიხარულის სინონიმია.

29 ოთხშაბათი: 2024

მაისი

პავლე VI, პაპი, +1978 რომში.

1პეტ 1,18-25; ფს 147; მარ 10,32-45

ᲭᲔᲛᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲓᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲬᲛᲘᲓᲔᲗ 1პეტ 1,22

ვის უნდა ვემსახურო? ჩემ საკუთარ თავს? წუთისოფელს? თუ უფალ იესოს? თუკი მისი მსახურება მსურს, მთელი გულისყურით და სასოებით უნდა ვუსმენდე, მისი სიტყვით უნდა ვცხოვრობდე და ლოცვით მასთან ერთობაში ვრჩებოდე.

შემეწიე, სულო წმიდაო, და თქვენც, ყოველნო წამებულნო, მისთვის რომ დაღვარეთ თქვენი სისხლი!

30 ხუთშაბათი 2024

მაისი

უწმიდესი ხორცი და სისხლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, «ბ», დდ, [ს], თ

ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს დამდეგ კვირადღეს

გამ 24,3-8; ფს 115; ებრ 9,11-15; მარ 14,12-16.22-26

ეს არის ჩემი სისხლი...
მრავალთათვის დაღვრილი

მარ 14,24

ჩვენ უძლურნი ვართ და ვერასოდეს შევ-ძლებთ ამ საიდუმლოს მთელი ღირსებით აღსრულებას. თუმცაღა, მაინც ვასრულებთ, რამეთუ ამას გვიბარებს თავად უფალი ჩვე-ნი, რომელიც ცოცხლობს და გვიხსნის. მისი ხორცი და მისი სისხლი ის პური და ის ღვი-ნოა, რომელიც ჩვენში შემოსვლით, ადამის ძეობიდან ღმრთის ძეებად გარდაგვქმნის, ერთმანეთის მოყვასებად გვაქცევს.

31 პარასკევი 2024

მაისი

ნ. ქ. მარიამის მონახულება, დ, [ს], თ

(18.V) წმ. მოწამენი დავით და ტირიჭანი, +693

სოფ 3,14–17 ან, რომ 12,9–16; საგ.: ეს 12,2–6; ლკ 1,39–56

ზეიმობს რემი სული ღმერთში,
რემს მაცხოვარში ლკ 1,47

კეთილი არს უფალი, მამა ყოველთა კაცთა; იგი, თავისი ძის, იესოს მეშვეობით, ჭეშმარიტად ერთადერთი მაცხოვარია! მოგვმადლის ძალას, რომ გულით ვატაროთ მისი სიყვარული და მისი მყოფობის ნიშანი. ღვთისმშობელ მარიამთან ერთად ვხარობთ ყოველი მისი ნამოქმედარით: „ტახტებიდან გადმოყარა ძლიერნი და აამაღლა თავმდაბალნი“. გმადლობ, მარიამ, შენ, მგზნებარედ მლოცველი დედა, გვასწავლი, რომ ვადიდოთ მამა და ვემსახუროთ გაჭირვებაში მყოფთ.